ვიმოქმედოთ აქტიურად, შემოქმედებითად, კომპეტენტურად

გაიხსნა საქართველოს პროფკავშირთა XVIII ყრილობა

პროფესიულ კავშირებს სამართლიანად უწოდებენ კომუნიზმის სკოლას, რომლის პროგრამას განსაზღვრავს თვით ცხოვრება, იმ მომენტის ხასიათი, პარტია და ხალხი რომ განიცდიან. პარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებანი, რომლებიც საწარმოთა საქმიანობის ახალ ჰორიზონტებს სახავს და შრომითი კოლექტივების უფლებამოსილებას აფართოებს, დაბეჯითებით მოითხოვს პროფკავშირულ ორგანიზაციათა მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფას, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის მართვაში მათი როლისა და პასუხისმგებლობის გადიდებას.

ამ მოთხოვნების რეალიზაციის კონკრეტულ გზებს განიხილავს საქართველოს პროფკავშირთა XVIII ყრილობა, რომელმაც 30 იანვარს დაიწყო მუშაობა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში. აქ შეიკრიბნენ მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები — რესპუბლიკის პროფკავშირთა 2,5 მილიონზე მეტი წევრის სრულუფლებიანი წარმომადგენლები.

ყრილობის პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგები ჯ. ი. პატიაშვილი, ვ. ი. ალავიძე, გ. ა. ანდრონიკაშვილი, გ. ა. ანჩაბაძე, პ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ო. გ. ვარძელაშვილი, კ. ა. კოჩეტოვი, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, გ. გ. გუმბარიძე, გ. ხ. ემირიძე, ტ. ვ. ლორთქიფანიძე, ჯ. ვ. მარგველიძე, თ. ი. მოსაშვილი, ფ. ს. სანაკოევი, ნ. რ. საჯაია, საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი ვ. მ. მიშინი, ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები, წარმოების მოწინავენი, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი.

ყრილობა გახსნა საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ვ. მ. სირაძემ.

ირჩევენ ყრილობის ხელმძღვანელ ორგანოებს — პრეზიდიუმს, სამდივნოს, სარედაქციო და სამანდატო კომისიებს.

მტკიცდება დღის წესრიგი და რეგლამენტი. ყრილობის განსახილველად შეტანილია შემდეგი საკითხები:

1. საქართველოს პროფსაბჭოს მუშაობის ანგარიში და სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის მოთხოვნათა მიხედვით რესპუბლიკის პროფკავშირთა საქმიანობის გარდაქმნის ძირითადი მიმართულებანი.

2.. საქართველოს პროფსაბჭოს სარევიზიო კომისიის ანგარიში.

3. არჩევნები:

— საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსი;

— საქართველოს პროფსაბჭოს სარევიზიო კომისიისა;

— სსრ კავშირის პროფკავშირთა XVIII ყრილობის დელეგატებისა.

მოხსენება პირველ საკითხზე გააკეთა ვ. მ. სირაძემ.

საქართველოს პროფსაბჭოს სარევიზიო კომისიის ანგარიში გააკეთა ამ კომისიის თავმჯდომარემ შ. ლ. სულამანიძემ.

მოხსენებათა გამო გაჩაღდა კამათი. კამათში მონაწილეობდნენ აფხაზეთის პროფკავშირთა საოლქო საბჭოს თავმჯდომარე გ. ს. ცობეხია, ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის გამმართველი ჯ. ვ. გუგავა, აჭარის პროფკავშირთა საოლქო საბჭოს თავმჯდომარე შ. მ. ოქროპირიძე, მაჭარაძის რაიონის სოფელ მერიის ლესელიძის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ნ. ვ. რუსიეშვილი, „თბილისტელაქმშენის“ № 5 სახლთსაშენებელი კომბინატის სამეურნეოანგარიშიანი ბრიგადის ბრიგადირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ა. დ. დიხტიარი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ი. ვ. ფრანგიშვილი, თბილისის დიმიტ-

იხ. მე-2 გვ.



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

31 იანვარი, შაბათი, 1987 წ. № 21 (9432) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

სპორტის სადიდებელი დღესასწაული

გიგანტურმა საპატიო კვარცხლბეკმა დაამშვენა 29 იანვარს თბილისის სპორტის სასახლის არენა. აქ 1986 წლის სეზონის შედეგებისადმი მიძღვნილ სპორტის დღესასწაულზე პატივს მიაგებდნენ იმათ, ვინც ასახელა ჩვენი რესპუბლიკა უდიდეს საკავშირო და საერთაშორისო ასპარეზობებზე.

სპორტულ დღესასწაულს ესწრებოდნენ ამხანაგები ჯ. ი. პატიაშვილი, ვ. ი. ალავიძე, გ. ა. ანჩაბაძე, გ. ნ. ენუქიძე, ო. ე. ჩერქეზია, გ. გ. გუმბარიძე, ჯ. ვ. მარგველიძე, ნ. რ. საჯაია, საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი ვ. მ. მიშინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ბ. ა. მალკოვი.

ფანფარების საზეიმო ხმებით იწყება სპორტსმენებისა და ფიზკულტურელების პარადი, რომლებსაც ესალმება რესპუბლიკის სპორტული მოძრაობის ვეტერანი, სპორტის დამსახურებული ოსტატი გიორგი მერკვილაძე.

არენის ცენტრში ჩნდება გიგანტური საჭადრაკო დაფა, აქ „ცოცხალი ფიგურებით“ თამაშობენ საჭადრაკო დებიუტს, საპატიო კვარცხლბეკზე კი ადიან გასული წლის ტრიუმფატორი დიდოსტატი ქალები. მაია ჩიბურდანიძემ მეოთხედ მოიპოვა საჭადრაკო გვირგვინი, ნონა გაფრინდაშვილთან, ნანა ალექსანდრიასთან და ელენე ახმილოვს-

იხ. მე-2 გვ.

ხურათებზე: ზევით — სპორტული ზეიმის ერთი ფრაგმენტი; ქვევით — 1986 წლის სპორტული სეზონის ლაურეატები.

ვინ შეაჩერებს ფავორიტებს?

თბილისის XXVI საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში



გუშინ თბილისის სპორტის სახახლეში დაიწყო თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა XXVI საერთაშორისო ტურნირი, რომელსაც ინტერესით ელოდნენ ჭიდაობის მოყვარულები და მწვრთნელ-სპეციალისტები. ეს შეჯიბრება, რამდენიმე გარემოების გამო, საგანგებო ყურადღებას იპყრობს ერთია ის, რომ თბილისის ტურნირით იხსნება ახალი სპორტული სეზონი და სხვადასხვა ქვეყნების ნაკრები გუნდების მწვრთნელებს საშუალება ეძლევათ შეამოწმონ სპორტსმენების მზადყოფნა უფრო მაღალი რანგის შეჯიბრებებისათვის, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ ჩვენს დედაქალაქში, როგორც წესი, სასპარეზოდ ჩამოდიან მსოფლიოს უძლიერესი ათლეტები და ეს ტურნირის მნიშვნელობას ერთთორად ზრდის.

წლევანდელ ტურნირში 11 ქვეყნის 206 ფალავანი მონაწილეობს. მათ შორისაა მსოფლიოსა და ევროპის ჩარშანდელი ჩემპიონატების 30-მდე პრიზიორი. როგორც ყოველთვის, ყველაზე მრავალრიცხოვანია საბჭოთა კავშირის ნაკრები, ამიტომ, ორგანიზატორებმა შეჯიბრების ჩატარების სისტემაში სახელდახელო ცვლილება შეიტანეს: თითოეული წონითი კატეგორიის პირველ ქვეჯგუფში საბჭოთა კავშირის ნაკრებიდან მხოლოდ სამი მოჭიდავე გამოვა, დანარჩენები მეორე ქვეჯგუფში განაწილდნენ.

გუშინ დილით პირველი წრის შეხვედრები გაბარეს ათივე წონითი კატეგორიის მოჭიდავეებმა. უმჩატეს წონაში ოქროს მედლის ძირითად პრეტენდენტად მსოფლიოს 1986 წლის ჩემპიონი ლი ზე სიკი (კსდრ) ითვლება. კორეელმა ფალავანმა სასტარტო ბრძოლა იოლად მოუგო იური მამიშევს (სსრკ)

იხ. მე-3 გვ.

ვიმოქმედოთ აქტიურად, შემოქმედებითად, კომპეტენტურად

დასასრული

როვის სახელობის საავიაციო საწარმოო გაერთიანების პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე გ. ო. კუპატაძე, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის სამჭროს მეფოლადე ზ. შ. კობაიძე.

ყრილობამ მოისმინა და დაამტკიცა სამანდატო კომისიის მოხსენება, რომელიც გააკეთა საქართველოს პროფსაბჭოს საორგანიზაციო განყოფილების გამგემ გ. დ. ჭაჭიამ.

განახლებულ კამათში გამოვიდნენ საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის რექტორი, საქართველოს პროფსაბჭოს კულტურის მუდმივი კომისიის თავმჯდომარე ე. ნ. გუგუშვილი, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სასწავლებლების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე მ. კ. კობახიძე, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის მღარავი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ა. ლ. მირზოიანი, საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურის და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ნ. შ. ენდელაძე, თბილისის სართავი ფაბრიკის მქსოველი ლ. პ. აფრასიძე, საქართველოს პროფკავშირთა კურორტებს ქართვის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ნ. ბ. შარაშენიძე, საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ხ. ვ. გურგენიძე, სამხრეთ ოსეთის პროფკავშირთა საოლქო საბჭოს თავმჯდომარე უ. ბ. სანაკოევი, სიღნაღის რაიონის სოფელ ნუკრიანის კოლმეურნეობის მექანიზატორი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ლ. ვ. ოტიაშვილი, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ვ. მარგველიძე, თეთრი წყაროს რაიონის სოფელ ბორბალოს ამბულატორიის გამგე ლ. გ. ვაშაყმაძე, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე გ. შ. ციციშვილი, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი, მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მ. გ. ჩიბურდანიძე, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი, აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე რ. გ. ურჯუმელაშვილი, ზუგდიდის რაიონის სოფელ კახათის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი ჯ. ი. გუგუჩია.

ყრილობაზე გამოვიდა საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი ვ. მ. მიშინი.

განცხადებებითა და წინადადებებით გამოვიდნენ ყრილობაზე საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს შრომის ჰიგიენისა და პროფესიული დაავადებების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი ვ. ა. ვაშაკიძე, რადიოელექტრონული მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ი. ვ. გაბუნია.

ყრილობა მუშაობას განაგრძობს. (საქინფორმი).



სიძნელეებს არ ეშინიან

ასეთი „ხელი“ ზამთარი კარგა ხანია არ ახსოვთ ლანჩხუთში. კოკისპირულმა წვიმებმა თანდათან იმატა, მშენებლებს მკაცრი გამოცდა მოუწყო, მაგრამ ახინი უკან არ იხევენ.

კოკისპირულად წვიმდა 30 იანვარსაც, როცა გრიგოლეთის ხაწვრთნელ ბაზას ვეწვეთ. გზაში ვფიქრობდით, ასეთ ამინდში შეუძლებელი იქნებოდა ღია ცის ქვეშ მუშაობა, მაგრამ... ახ, რაც აქ ვნახეთ, შეუძლებელია ორიოდე სიტყვით გადმოგცეთ. ავდრის მიუხედავად აქ ყველა ობიექტზე გაცხარებული სამუშაოები ჩიმდინარეობდა.

სავარჯიშო მოედანზე ბალახის ბელტების დაგებას და სარბიელის საერთო კეთილმოწყობას აგრძელებენ სპორტმშენის ცხაკაიას № 3 სარემონტო სამშენებლო სამმართველოს წარმომადგენლები (უფროსი ნოდარ ჯობავა). სამუშაოთა მწარმოებელმა გია სოხელიამ აღნიშნა: — რა თქმა უნდა, გადაუღებელი წვიმები ხელს გვიშლიან, მაგრამ ვიცით, პირობა უეჭველად უნდა შევასრულოთ და ესაა მთავარი. 15 თებერვლისთვის, როგორც ეს გრაფიკითაა გათვალისწინებული, ყველაფერი უნდა დავამთავროთ. ამას რომ ვამბობ, ჩვენი სანაქებო ბიჭების იმედი გვაქვს. ესენი არიან: ბრიგადირი მაკარ ბესელია, მოწინავე მშენებლები გიორგი მამარდაშვილი, ნუგზარ და ანზორ ბესელიები, ბორის კილასონია, ჯემალ კობალავა, გიული ჯიშკარიანი, რევაზ მილორავა და გენადი ხოშტარია.

თითქმის იგივე გაგვიმეორა ქობულეთის საკოლმეურნეობათაშორისო მშენებლობის საბჭოს სამუშაოთა მწარმოებელმა ჯემალ სტამბოლიშვილმა. ეს კოლექტივი სასადილოს შენობას აგებს. აქ, აღდგენითი ცენტრის მშენებლობაზე ცხაკაიას საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო საბჭოს კოლექტივი მუშაობს (სამუშაოთა მწარმოებელი გურამ კანკავა). ორივე ორგანიზაციის ხელმძღვანელებმა აღნიშნეს, რომ პირობას უეჭველად შეასრულებენ და გრაფიკით ჩაბარებენ ობიექტებს. მაგრამ სასურველია ეს ობიექტები ვადაზე ადრე ჩაბარდეს, რათა ლანჩხუთის „გურიის“ ფეხბურთელები 1 მარტიდან საკუთარ ბაზაზე შეუდგნენ ვარჯიშს. ამისათვის საჭიროა სასწრაფოდ დაიწყოს საქვაბისა და წყალდამწნევი კოშკის მშენებლობა.

ახლა, რაც შეეხება ლანჩხუთის ახალმშენებლობათა მთავარ ობიექტს — სტადიონს. ცუდი ამინდების მიუხედავად აქ მუშაობის ტემპი არ ნელდება. დღეს დამთავრდა ელექტრო-საინფორმაციო ტაბლოს საძირკვლისა და საყრდენების სამუშაოები. ახლა საჭიროა „საქშთავარმონტაჟსპეცმშენმა“ დააჩქაროს მიხი მონტაჟი. დამთავრდა განათების ანძების მონტაჟიც. სამწუხაროდ, ნელი ტემპით მიმდინარეობს სტადიონის გარეშემოღობვისა და სალაროების აგების სამუშაოები. არ ყოფნით ამწე მექანიზმები, მუშახელი, ამიერკავკასიის ტრასმშენის № 815 მატარებლის კოლექტივმა მკვეთრად უნდა გააძლიეროს ტემპი. იგივე უნდა ითქვას „საქმთავარენერგოს“ კოლექტივზე. კვლავ საყვედური უნდა გამოვთქვათ ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს მისამართით, რომელსაც ჯერაც არ დაუწყია (?!) გადასასვლელი ხიდის რეკონსტრუქცია და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა.

რაც შეეხება ლანჩხუთში მშენებლობების საერთო ხარისხს, იგი დამაკმაყოფილებელია და მშენებელთა ასეთი თავდადებული მუშაობა გვაფიქრებინებს, რომ ლანჩხუთი ღირსეულად შეხვდება ახალ საფეხბურთო სეზონს.

თამაზ ხარაბაძე.
(ტელეფონით, „ლელოს“ სპეც. კორ.).

ლანჩხუთი.

სპორტის სადიდებელი დღესასწაული

ბრიტანეთში

დასასრული

კაიასთან ერთად კვლავ დაამტკიცა მსოფლიო ოლიმპიადაზე, რომ რესპუბლიკის ქალთა საჭადრაკო სკოლა უძლიერესია მსოფლიოში. ამ წარმატებებს დაემატა სსრ კავშირის ჩემპიონატზე ნანა იოსელიანის მიერ მოპოვებული ოქროს მედალიც.

გაისმის ფლოქვების თქარათქური — შემოდის მოსკოვის კეთილი ნების პირველი ასპარეზობის გამარჯვებული, ხუთჯიდელი ვახტანგ იაგორაშვილი, შემოდიან სსრ კავშირის ხალხთა IX საზაფხულო სპარტაკიადის მონაწილენიც.





ტრიბუნის წინ ჩაატარეს თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა მიერ დიდ ტურნირებში მოპოვებული პრიზები, მათ შორის ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასიც. ათასობით სპორტის მოყვარულს, ისევე როგორც დღესასწაულზე გამოსულ ფეხბურთის ვეტერანებს, სპორტის დამსახურებულ ოსტატებს ბორის პაიჭაძეს, გიორგი ანთაძესა და გრიგოლ გაგუას სჯერათ, რომ თბილისის „დინამო“ ღირსეული მაგალითი გახდება თავისი „უმცროსი ძმის“ — ლანჩხუთის „გურიისათვის“, რომელიც პირველად შევიდა ქვეყნის საფეხბურთო „ელიტაში“. სწორედ მათ, უმაღლესი ლიგის ახალბედებმა, რომლებიც ესწრებოდნენ დღესასწაულს, მიეძღვნათ ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლის „ივერიის“ სახუმარო სიმღერა.

დღესასწაულზე აყღერდა აგრეთვე სიმღერები და მელოდიები, რომლებიც შეასრულეს თამარ გვერდწითელმა და ალექსანდრე ხომერიკმა, ცისფერმა ტრიომ, კამერულმა ორკესტრმა ვადიმ შუბლაძის ხელმძღვანელობით და მუსიკალური ხელოვნების სხვა წარმომადგენლებმა. სპორტსმენებს გულთბილად მიესალმნენ კულტურის მოღვაწეები და ჟურნალისტები.

სპორტულ-თეატრალიზებული წარმოდგენა დამთავრდა სპორტის სხვადასხვა სახეობის წარმომადგენლების საუკეთესო ნაკრები გუნდების სვლით. მათი სახით საქართველოს ყველა სპორტსმენს რესპუბლიკის სპორტის მოყვარულთა სახელით ახალი სეზონის დაწყების წინ გზა დაულოცა პოეტმა აკადემიკოსმა, სოციალისტური შრომის გმირმა ირაკლი აბაშიძემ.

ნორჩი სპორტსმენები სპორტის სასახლის თაღქვეშ „ანთებენ“ სიმბოლურ ოლიმპიურ ცეცხლს.

დიდებული „მრავალკამიერი“ დღესასწაულის მონაწილეებისათვის გახდა თავისებური მოწოდება — მოიპოვონ ახალი გამარჯვებანი ქართული საბჭოთა სპორტის სასახელოდ.

სურათებზე: მხატვრული ტანვარჯიშის ოსტატთა ჯგუფური გამოსვლა; ხარბიელზეა ირმა ყიფშიძე; მაყურებელი მოხიბლა ვლადიმერ გოგოლაძის ოსტატობამ; „ცოცხალი ჭადრაკი“.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.

ინტერვიუ ზეიმის შემდეგ



თავს ამაყად ვგრძნობდი

გულწრფელად უნდა გითხრათ, იმან, რაც 29 იანვრის საღამოს თბილისის სპორტის სასახლის თაღებქვეშ ვიხილეთ, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. თავისუფალ ჰიდაობაში თბილისის საერთაშორისო ტურნირის სტუმრებიც სიამაყით ,ვადევნებდით თვალყურს მართლაც ღრმად შთამბეჭდავ კულტურულ-სპორტულ სანახაობას. სიამაყით იმიტომ, რომ ეს იყო სპორტისა და სპორტსმენთა ღვაწლის ჯეროვანი დაფასება. დიდი სპორტი რომ ხელოვნების სიმაღლეებამდეა აღზევებული, იმ საღამოს თვალსაჩინოდ დაგვიდასტურეს მხატვრული ტანვარჯიშის ქართული სკოლის წარმომადგენლებმა. მეამაყებოდა ისიც, რომ ამ ზეიმზე ღირსეულად დაფასეს ის ადამიანები, რომლებიც შემოქმედებითად, თავდაუზოგავად იღვწიან სპორტში ახალი სახელების წარმოსაჩენად.

მადლობა ყველას, ვინც ეს შესანიშნავი ზეიმი ჩაიფიქრა და ასე ლამაზად წარმოგვიდგინა.

ივან იარიგინი,
სპორტის დამსახურებული ოსტატი, ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონი, სსრ კავშირის თავისუფალი ხტილის მოჭიდავეთა ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი.

სტიმულს გვაძლევს

ეს საღამოს ბედნიერი ვიყავით მე და ჩემი გოგონები. ყველაფერი ჩინებულად იყო ჩაფიქრებული. პატივი და ყურადღება, რომელიც ჩვენ, ამ ზეიმის უშუალო მონაწილეებმა ვიგრძენით, გვავალებს ქართული და საბჭოთა სპორტის საკეთილდღეოდ უფრო თავდადებით ვიშრომოთ მომავალში.

დიდ მადლობას მოვახსენებთ რესპუბლიკის ხელმძღვანელობას ესოდენ დიდი დაფასებისათვის. ღრმად ვარ დარწმუნებული, ეს ზეიმი დიდ სტიმულს მისცემს რესპუბლიკაში სპორტის შემდგომ აღმავლობას, სპორტსმენებს, მწვრთნელებს, სპორტის მუშაკებს ჩაუნერგავს რწმენას, რომ ღვაწლი და გარჯა მუდამ დაფასდება.

ნელი სალაძე,
საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის XXVI საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში

ვინ შეაჩერებს ფავორიტებს?

დასასრული

ამ წონაში საქართველოს წარმომადგენელი არ გამოდის. მჩატე წონაში ასპარეზობს თბილისელი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ზურაბ ტატუაშვილი. მისი მეტოქე იყო საბჭოთა კავშირის შარშანდელი ჩემპიონატისა და IX სპარტაკიადის ვერცხლის პრიზიორი, ხარკოველი ელმან მამედოვი. ქულებით გაიმარჯვა მამედოვმა. კარგად აიღო სტარტი ახალგაზრდებს შორის მსოფლიო ჩემპიონმა, სოხუმელმა ეგია მუსოიანმა (57 კგ), რომელმაც 2 წუთსა და 31 წამში წმინდად დაამარცხა აშშ-ის ორგზის ჩემპიონი ერბ მაიკი. ამავე წონაში ემზარ გვიჩიანმა ქულებით დათმო შეხვედრა საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრთან ვალერი კერემიასოვთან. პირველი წმინდა გამარჯვება მოიპოვა გოჩა გაბოძემ (68 კგ). მან 1 წუთსა და 46 წამში გააკრა ხალიჩას ფრუნზელი ვალერი ვერხუშინი.

74 კგ წონაში ყველაზე ტიტულიანია მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, აშშ-ის გუნდის ლიდერი დეივ შულცი. ამერიკელმა ფალავანმა სტარტზე წმინდად მოუგო უნგრელ იანოშ ნოდს. პირველი გამარჯვება იზეიმა ქუთაისელმა ლევან სირაძემ (მინსკელ ახსარ ჩერტიკოევთან), საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის ჩემპიონმა ავთანდილ გოგოლიშვილმა კი აშკარა უპირატესობით დაამარცხა ფინელი პეკა რაუხალა. დაშავებულია და ტურნირში ამის გამო ვერ მონაწილეობს პერსპექტიული ახალგაზრდა მოჭიდავე მამუკა რაზმაძე (90 კგ). ამ წონაში ფავორიტთა შორის არიან მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, მოსკოველი სანასარ ოჰანესიანი და ევროპის ჩემპიონი, მინსკელი ვახა ევლოევი. პირველ წრეში ორივე სპორტსმენმა დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა.

სერგეი ზამბალოვმა ილეთზე დაიჭირა ვლადიმერ იაკოვლევი.



ბორის სევენიუკისა და სტივ ბადრისკის (აშშ) შეხვედრის მომენტი.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.

გულშემატკივართა განსაკუთრებული ინტერესი, რა თქმა უნდა, ქვემძიმე და მძიმე წონის მოჭიდავეთა შეხვედრები იწვევს. სწორედ ამ წონებში გამოდიან საქართველოს ნაკრების ლიდერები — ლერი ხაბელოვი და დავით გობეჯიშვილი. ორივე სპორტსმენმა იოლად მოიგო წინასწარი შეხვედრა. ხაბელოვმა მოსკოველი ვლადიმერ ზახაროვი დაამარცხა, გობეჯიშვილმა — თანაგუნდელი გია გალდავა.



ო ენ გენისა და ალექსანდრე ხადარცევის ორთაბრძოლა.

გუშინ საღამოს გაიმართა მეორე წრის შეხვედრები. ზურაბ ტატუაშვილმა წმინდად დაამარცხა სერგეი ზამზაღოვი, გოჩა გაბოძემ — არტურ მუტალიბოვი. მეორე გამარჯვება მოიპოვა ეგია მუსოიანმა. მან ამჯერად ქულებით მოუგო ბაგაუდინ მამაევს.

ორი წაგების შემდეგ შეჯიბრებას გამოეთიშნენ ვეფხვია სალთხუციშვილი და ემზარ გვიჩიანი. ლევან სირაძემ მედგარი წინააღმდეგობა გაუწია სპორტის დამსახურებულ ოსტატს ტარან მაჰმედოვს, მაგრამ ქულებით დამარცხდა. ორორი გამარჯვება აქვთ მსოფლიო ჩემპიონს ლი ზე სიკსა (კსდრ), შულცს (აშშ), ვლადიმერ ტოგუზოვს, ელშან მამედოვს, კამილ აბდულდაუდოვს, ხაზარ ისაევს, ბორის ბუდაევს, რობერტ თიბილოვს (ყველა — სსრკ). ლერი ხაბელოვი და დავით გობეჯიშვილი გუშინ გვიან საღამოს გამოვიდნენ.

ელგუჯა სალხინოელი.

მასპინძელთა უპირატესობით

28 იანვარს გორელების ყოველდღიურ საზრუნავს საბჭოთა კავშირ — აშშ-ის მოჭიდავეთა მატჩზე დასასწრები ბილეთის შოვნის პრობლემაც მიემატა. ცირკის შენობის წინ მატჩის დაწყებამდე კარგა ხნით ადრე შეკრებილი რამდენიმე ათასი მაყურებელი ტაშითა და ყვავილებით შეხვდა ორი ქვეყნის წარმომადგენლებს. ჭიდაობის მოყვარულებს არც გორის სპორტის მესვეურნი ჩამორჩნენ და საგულდაგულოდ მომზადებულებმა სტუმართმოყვარულად გაუღეს ცირკის კარი მოასპარეზეთ.

საზეიმო ცერემონიალის შემდეგ ხალიჩაზე 48 კგ-მდე წონითი კატეგორიის მოჭიდავეებს უხმეს. პირველ ორთაბრძოლაში ახალგაზრდა სტივ ბადრიცკის პირისპირ მწვრთნელებმა ერევნელი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი გნელ მეჯუმიანი გამოიყვანეს. პირველი პერიოდი საბჭოთა მოჭიდავის უპირატესობით წარიმართა და ორთაბრძოლის ბედიც თითქოს გადაწყვეტილი იყო, მაგრამ ბადრიცკიმ შესაშური ბრძოლისუნარიანობა გამოავლინა და მეორე პერიოდში გამარჯვება ხელიდან გამოგლიჯა მეტოქეს. თანაგუნდელის წარმატებით გამხნევებულმა მაიკლ ერბმ სერგეი ზამბალოვთან (52 კგ-მდე წონითი კატეგორია) ორთაბრძოლა იერიშებით დაიწყო და პირველი ქულაც აართვა მოწინააღმდეგეს, მაგრამ ზამბალოვმა თანდათან გაათანაბრა ბრძოლა და მეორე პერიოდის მეორე წუთზე წმინდა გამარჯვება მოიპოვა. საქართველოს მოჭიდავეთაგან პირველმა ეგია მუსოიანმა (57 კგ.) ისასპარეზა. მისი მეტოქე იყო მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების პრიზიორი დევისი. ამერიკელის ფიზიკურ უპირატესობას მუსოიანმა სისწრაფე და ტექნიკა დაუპირისპირა, მაგრამ მეორე პერიოდში ეტყობა გამძლეობამ უმტყუნა და დევისმა ქულებით მოიგო შეხვედრა. 62 კგ-ში მსოფლიოს, ევროპის, საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა საზარ ისაევმა დაამარცხა მსოფლიოს პირველობის ვერცხლის პრიზიორი ჯო მაკფერლენდი. 68 კგ-ში ტაშკენტელმა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა არსენ ფადაევმა წმინდად მოუგო ედი ურბანოს — მსოფლიო პირველობის ბრინჯაოს პრიზიორს. საინტერესო გამოდგა „დრუჟბის“ ტურნირის გამარჯვებულის ტარან მაჰმედოვისა და ოლიმპიური ჩემპიონის დეივ შულცის შეხვედრა. პირველი პერიოდი ისე დასრულდა, რომ მეტოქეებმა ვერ შეძლეს შედეგიანი ილეთის ჩატარება. მეორე ნახევარში კი შულცს დაღლა შეეტყო და მაჰმედოვმა შეძლო ქულებით დაემარცხებინა მოწინააღმდეგე. მაყურებელი სარბიელზე გულთბილად შეხვდა ვლადიმერ მოდოსიანის (82 კგ) გამოჩენას. წარმოშობით გორელმა მოდოსიანმა იმედი არ გაუცრუა გულშემატკივრებს და ძლიერი მოწინააღმდეგე მელვინ დუგლარი დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა. 90 კგ-ში ვახა ევლოევმა მოუგო ჯიმი შერის. ცირკის ტრიბუნებზე შეკრებილი გულშემატკივრები მოუთმენლად ელოდნენ მსოფლიო ჩემპიონების ლერი ხაბელოვისა და დავით გობეჯიშვილის გამოსვლებს. ხაბელოვის მოწინააღმდეგე 100 კგ-მდე წონით კატეგორიაში მსოფლიო ჩემპიონი და მსოფლიო თასის მფლობელი ბილი შერი იყო. ლერიმ თავდადებულ დამაჯერებლად წარმართა შეხვედრა და შერის გამარჯვების იმედი გადაუწურა. 4:1—ასეთი ანგარიშით დამთავრდა ეს ორთაბრძოლა. მართალია, გობეჯიშვილი — ჯონსონის შეხვედრის დასაწყისში ამერიკელმა მოჭიდავემ ეფექტური გდებით სამი ქულა აართვა მეტოქეს, მაგრამ შემდეგ გობეჯიშვილის უპირატესობა იმდენად აშკარა იყო, რომ მის გამარჯვებაში ეჭვი აღარავის შეპარვია.



ვლადიმერ მოდოსიანის და მელვინ დუგლასის შეხვედრის მომენტი.



მამუკა რაზმაძის ორთაბრძოლა დაუნ გულდმანთან.

ამრიგად, მატჩი ანგარიშით 8:2 საბჭოთა მოჭიდავეებმა მოიგეს.

პარალელურად გაიმართა ამ ქვეყნების ნაკრებთა მეორე ნომრების შეხვედრებიც ზოგიერთ წონით კატეგორიებში. ჩვენი რესპუბლიკის სპორტული ღირსება დაიცვეს ავთანდილ გოგოლიშვილმა და მამუკა რაზმაძემ. გოგოლიშვილმა დათმო შეხვედრა ვაინი კატანთან, ხოლო რაზმაძემ დუაინ გოლდმანს ერთი ქულით მოუგო.

კოგა ახალბედაშვილი.

„ლელოს“ სპეც. კორ.

გორი.

ტურნირში უკეთ გამოვალთ

ნ-ქულიანი სხვაობით წაგება ნებისმიერ მწვრთნელს გაუფუჭებდა გუნება-განწყობილებას, მაგრამ ამერიკელ ელ ბეველაკვას იხტიბარი არ გაუტეხია, ინტერვიუს მოცემაზეც სიამოვნებით დაგვთანხმდა:

„ჩვენი ბიჭების გამოსვლით სულაც არა ვარ უკმაყოფილო. მრავალსაათიანი, მომქანცველი მგზავრობის შემდეგ თბილისს აეროპორტიდან პირდაპირ გორში ჩამოვედით. იმედი გვაქვს, რამდენიმე დღის შემდეგ თბილისში უკეთესად გამოვალთ.

— ნაკრების დღევანდელ შემადგენლობაზე რას გვეტყვით?

— გუნდში რამდენიმე ახალგაზრდა პერსპექტიული მოჭიდავეა. მაიკლ ერბი, ჯონი ჯიურა, კენი მონდეი ასეთ სერიოზულ შეჯიბრებაში პირველად გამოდიან, საბჭოთა მოჭიდავეებთან შეხვედრები მათთვის კარგი სკოლა იქნება. ნაკრების ბირთვს, რა თქმა უნდა, გამოცდილი შულცი, დევისი, ძმები შერები წარმოადგენენ.

— ამერიკის ნაკრების უფროსი მწვრთნელები რატომ იცვლებიან ასე ხშირად?

— ჩვენთან უფროსი მწვრთნელის თანამდებობა მხოლოდ პირობითად არსებობს. ნაკრებს ხუთი მწვრთნელი ჰყავს, თბილისის ტურნირისთვის გუნდის მომზადება და ხელმძღვანელობა ამჯერად მე და ჯო უელსს დაგვეკისრა.

— თქვენი სპორტული დელეგაცია ერთ-ერთი მრავალრიცხოვანია წლევანდელ ტურნირზე...

— თბილისის ტურნირი წლის უმნიშვნელოვანესი შეჯიბრებებისთვის მზადების პირველი ეტაპია. გარდა ამისა, საბჭოთა თავისუფალი სტილის მოჭიდავეები ამჟამად მსოფლიოში საუკეთესონი არიან და საბჭოთა სკოლის სხვადასხვა წარმომადგენლებთან შეხვედრა ჩვენთვის სასარგებლოა.

მაღალი შეფასება

სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებმა 27 იანვარს იტალიის დედაქალაქში ამხანაგური საერთაშორისო მატჩი გამართა იტალიის შარშანდელი ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორ ადგილობრივ „რომასთან“. ამჟამად „რომა“ მეხუთე ადგილზეა. თამაში მოიგეს საბჭოთა ფეხბურთელებმა — 1:0.

საინტერესოა ფეხბურთის სპეციალისტთა მოსაზრებანი ამ მატჩის შესახებ.

სვენ ერიქსონი (შვედი სპეციალისტი, „რომას“ მწვრთნელი): საბჭოთა ნაკრები ერთ-ერთ უძლიერეს გუნდად მიმაჩნია მსოფლიოში. „რომასთან“ უკვე მესამე წელია ვმუშაობ და დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ საბჭოთა ფეხბურთელებთან შეხვედრა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ჩვენთვის.

როსანო დონიდი (იტალიელი მიმომხილველი): საბჭოთა ფეხბურთელებმა მაღალი ტექნიკა გამოავლინეს, ითამაშეს სწარაფად, ლამაზად, თუმცა, მათ შეტევის ბოლო სტადიაში არ ყოფნით სიზუსტე, სახიფათო მომენტები კი მრავლად შექმნეს.

დინო ვიოლა („რომას“ პრეზიდენტი, ხენატორი). სტუმრებმა მაღალ დონეზე ითამაშეს. არ გამოვყოფ საუკეთესოებს არც საბჭოთა გუნდიდან, არც „რომადან“, ვინაიდან ეს იყო ჯენტლმენური შეხვედრა, თამაშობდნენ მაღალი საერთაშორისო კლასის ფეხბურთელები.

ტორპედოელები თბილისში ითამაშებენ

ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის მეოთხედფინალში მოსკოვის „ტორპედომ“ და საფრანგეთის ცნობილმა კლუბმა „ბორდომ“ პირველი მატჩი 4 მარტს უნდა ითამაშონ საფრანგეთში, ხოლო საპასუხო — 18 მარტს.

ცნობილი გახდა, რომ საპასუხო მატჩის ჩასატარებლად მოსკოვის ტორპედოელებმა აირჩიეს თბილისი. ამგვარად, მატჩი მოსკოვის „ტორპედოსა“ და საფრანგეთის „ბორდოს“ შორის 18 მარტს შედგება თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის სტადიონზე, თამაში დაიწყება 20 საათზე.

საქართველოს ჭაბუკთა II სპორტულ თამაშებზე

საიმედო დასაწყისი

საქართველოს ჭაბუკთა II სპორტული თამაშების გახსნის პატივი წყალში მხტომელებს ხვდათ წილად. მათ ხომ უკანასკნელ წლებში დიდ წარმატებებს მიაღწიეს საკავშირო სარბიელზე, თუმცა ჩვენი სპორტსმენების ნადავლი გაცილებით დიდი იქნებოდა, სპორტის ამ სახეობაში თბილისელი ოსტატები ჭაპანს ეულად რომ არ ეწეოდნენ. მათ რომ სხვა ქალაქების წარმომადგენლები კონკურენციას ვერ უწევენ, ამაში კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა თბილისში, ვაკის საცურაო აუზში ჭაბუკთა II სპორტული თამაშების პროგრამით გამართულმა ასპარეზობამ, რომელშიც თბილისის, აფხაზეთის, აჭარისა და ქუთაისის წყალში მხტომელები მონაწილეობდნენ — უკლებლივ ყველა საპრიზო ადგილი, მასპინძლებმა დაიკავეს. 1-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში, სადაც ყველაზე მეტი, 30 სპორტსმენი ცდიდა ძალას, პირველი ცხრა ადგილი თბილისელთა კუთვნილება გახდა. ჩამოსულ სპორტსმენთაგან საუკეთესო იყო აფხაზეთის წარმომადგენელი კარინა მუსოიანი, რომელმაც კოშკიდან ხტომაში IV ადგილი დაიკავა (315,96). ქუთაისელთაგან უძლიერესი იყო თემურ ხურცილავა, რომელმაც 1-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში X ადგილი დაიკავა (332,98).

სამწუხაროდ, ქუთაისელებს, აფხაზეთისა და აჭარის წარმომადგენლებს სავარჯიშო პირობები არა აქვთ. მათ აუზებში წყალი არ თბება, ან ცუდად თბება და ამიტომ, ისინი პრაქტიკულად მხოლოდ თბილ თვეებში ვარჯიშობენ. ასე რომ, მათი ჩამორჩენა არ უნდა გვაკვირვებდეს.

აღსანიშნავია, რომ ამ შეჯიბრებაზე ცხრაჯერ შესრულდა სპორტის ოსტატის ნორმატივი, რაც უთუოდ კარგი მაჩვენებელია. 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში სამივე პრიზიორმა გოგონამ სპორტის ოსტატის ნორმა შეასრულა.

პირად პირველობაში ყველას აჯობა დიანა მჭედლიძემ, რომელმაც ორი პირველი და ერთი მეორე ადგილი დაიკავა და სამივეჯერ სპორტის ოსტატის შედეგი აჩვენა. ორი სპორტის ოსტატის ნორმა შეასრულა ანა როსტიაშვილმა.

ერთი სიტყვით, თბილისელმა წყალში მხტომელებმა საზონი კარგად დაიწყეს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ისინი ჭაბუკთა II სპორტული თამაშებისა და სხვა შეჯიბრებებისთვის კარგად ემზადებიან.

ავთანდილ ბუკიშელი.



ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ

გოგონები. 1-მეტრიანი ტრამპლინი. დიანა მჭედლიძე — 411,30, საიხა კაიფაჯანი — 382,68, ეკა ტაბატაძე — 365,03; **3-მეტრიანი ტრამპლინი.** მჭედლიძე — 470, ანა როსტიაშვილი — 463,87, ეკა ტაბატაძე — 426,44; **კოშკი.** როსტიაშვილი — 375,39, მჭედლიძე — 373,17, კაიფაჯანი — 336,02.

ჭაბუკები. 1-მეტრიანი ტრამპლინი. იური შუკუროვი — 513,06, ვახტანგ ბიჭაშვილი — 504,87, გოჩა გახარია — 443,79; **3-მეტრიანი ტრამპლინი.** შუკუროვი — 477,0, გახარია — 446,58, ბიჭაშვილი — 446,58; **კოშკი.** გახარია — 479,19, მალხაზ მერაბიშვილი — 423,33, შუკუროვი — 396,15.

გუნდური. თბილისი — 330 ქულა, აფხაზეთი — 198, ქუთაისი — 133, აჭარა — 123.

სურათებზე (მარცხნიდან): დიანა მჭედლიძე, ანა როსტიაშვილი, იური შუკუროვი, გოჩა გახარია.

გ. გასპარიანის ბიბლიოთეკა

გარდაიცვალა კოივის ამაგდარი, მრავალი თაობის აღმზრდელი, შესანიშნავი პედაგოგი და ადამიანი, საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი გურგენ მალხაზის ძე გასპარიანი.

გ. გასპარიანი დაიბადა 1901 წელს თბილისში. ყმაწვილი თავიდანვე გაიტაცა სპორტმა — ჯერ ტანვარჯიშში სცადა ძალა, 1923 წლიდან კი საბოლოოდ კრივს დაუკავშირა ბედი. მუშაობა სპორტსაზოგადოება „მეტალისტში“ დაიწყო. იმთავითვე ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა შემოიკრიბა. ალღომაც არ უღალატა და მისი ხელმძღვანელობით სამი მოკრივე — ანდრო ნავასარდოვი, ლევან ღუდუშაური, გიორგი ვართანოვი სსრ კავშირის ჩემპიონები გახდნენ. ძლიერი სპორტსმენები იყვნენ გ. გასპარიანის სხვა აღზრდილებიც: ზურაბ კანდელაკი, დავით ჭიჭინაძე, ნიკოლოზ ლარიონოვი, რობერტ კალჯიევი და სხვები.

საკავშირო კატეგორიის სპატიო მსაჯი, შრომის ვეტერანი გურგენ გასპარიანი პერსონალურ პენსიაზე გასვლამდე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს ავარჯიშებდა, სათავეში ედგა თბილისისა და საქართველოს ნაკრებ გუნდებს. ვინ მოთვლის, რამდენი ახალგაზრდა დაუყენებია გზაზე, როგორც აღმზრდელს. ამიტომაცაა ასე გულდასაწყვეტი მასთან სამუდამო განშორება.

საქართველოს ვეტერანი მოკრივეები.

ფარმატება სტარტზე

თბილისში ვ. ი. ლენინის სახელობის სპორტდარბაზში დაიწყო პირველი ლიგის კალათბურთელ ქალთა საკავშირო პირველობის მეექვსე ტური. ასპარეზობაში საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (სპი) გარდა მონაწილეობენ ფრუნზეა „სტროიტელი“ და ლენინგრადის ორი გუნდი — „ვოლნა“ და „ბურევესტნიკი“. თბილისისა და ფრუნზეს კალათბურთელები ერთმანეთს წინა ტურში შეხვდნენ, ამიტომ ჩვენთან ისინი მხოლოდ ლენინგრადელებს შეხვდებიან, თანაც ორ-ორჯერ.

სასტარტო მატჩში პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელთა მეტოქე ლენინგრადის „ბურევესტნიკი“ იყო. შეხვედრის პირველი წუთები თანაბარი ბრძოლით აღინიშნა, შემდეგ კი მასპინძელთა უპირატესობა გამოიკვეთა. შესვენებისათვის სპი-ს უპირატესობა 13 ქულას შეადგენდა (41:28).

„ბურევესტნიკმა“ მდგომარეობის გამოსწორება მეორე ტაიმში სცადა, მაგრამ ამაოდ. 30-ე წუთისთვის თბილისელები წინ იყვნენ —72:47. დარჩენილ დროში მწვრთნელებმა მეორე შემადგენლობა გამოიყვანეს, რომლებმაც ასევე კარგად ითამაშეს. თბილისელმა კალათბურთელებმა პირველ შეხვედრაში კარგი შთაბეჭდილება დატოვეს — 100:58.

გამარჯვებულთაგან თავის გუნდს ყველაზე ბევრი ქულა ნ. სირაძემ გამოუტანა — 17, სტუმართაგან აქტიური თამაშით მ. დეევა გამოირჩეოდა — 18 ქულა.

გაცილებით უფრო დაძაბული ბრძოლით აღინიშნა ფრუნზეს „სტროიტელისა“ და ლენინგრადის „ვოლნას“ კალათბურთელთა ორთაბრძოლა. გამარჯვება ყირგიზეთის წარმომადგენლებს დარჩათ — 68:53 (41:31).

ზ. ლეონიძე.

მამუკა ყურაშვილი პრიზიორთა შორის

ამ დღეებში ლვოვში ჩატარდა მოზრდილ და იუნიორ ველოსიპედისტთა საკავშირო შეჯიბრება, რომელშიც სპორტსაზოგადოებების სპორტსმენთა გარდა ოლიმპიური მომზადების ცენტრების ველოსიპედისტებიც მონაწილეობდნენ.

საქართველოს სპორტსმენთაგან სხვებზე უკეთესი შთაბეჭდილება თბილისის 54-ე საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლემ მამუკა ყურაშვილმა (მწვრთნელი ნ. პანკრატოვი) დატოვა, რომელიც იუნიორთა შორის გამოდიოდა. მან I ადგილი დაიკავა ჯგუფურ რბოლაში 60 წრეზე (12 საშუალედო ფინიშით) და ორჯერ მესამე ადგილზე იყო 30 (3 საშუალედო ფინიშით) და 45 (9 საშუალედო ფინიშით) წრეზე ჯგუფურ რბოლაში.

იუნიორთა სხვა შედეგებიდან შეიძლება აღვნიშნოთ ანდრო კარბელაშვილის (ოლიმპიური მომზადების ცენტრი — „ივერია“) VI ადგილი 200 მეტრზე გიტში — 11,920. აქ პირველობა ლოკომოტიველმა ე. დოროფეევმა მოიპოვა — 11,672.

მოზრდილთა სპრინტში პირველი ადგილი ო. ბორზუნოვმა (ოლიმპიური მომზადების ცენტრი — „სპრინტი“) მოიპოვა. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი ო. მჭედლიშვილი (საბჭოთა არმია) მეექვსე იყო.

ᲧᲕᲔᲚᲐ ᲨᲐᲜᲡᲘ ᲓᲐᲘᲙᲐᲠ�გᲐ

მადრიდი. გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების უძლიერესი ექვსეულის მორიგი ტურის მატჩი. ადგილობრივმა „რეალმა“ საბჭოთა კავშირის ჩემპიონს კაუნასის „ყალგირისს“ უმასპინძლა.

გაიმარჯვა „რეალმა“ — 101:96.

„ყალგირისს“ ამ ტურში სამი მატჩი დარჩა ჩასატარებელი, სამივე — შინ. ამ შეხვედრების მოგების შემთხვევაშიც გუნდს ფინალში თამაშის შანსი, პრაქტიკულად, დაკარგული აქვს.

„სპორტლოტო“

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტლოტოს“ მორიგი, მეოთხე ტირაჟებისა, რომელიც 2[illegible] იანვარს გაიმართა.

„სპორტლოტო 6-45“-დან: გაიყიდა 936 436 ბარათი.

6 ციფრი ერთმა კაცმა გამოიცნო, რომელიც 10 000 მანეთს მიიღებს. ხუთისთვის (75 ბარათი) მოგება 749 მანეთია, ოთხისთვის (2947) — 28, სამისთვის (47324) — 3.

„სპორტლოტო 5 36“-დან: გაიყიდა 8 288 585 ბარათი.

ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (40 ბარათი) მოგება 10 000 მანეთია, ოთხისთვის (6 196) — 148, სამისთვის (134 232) — 6.

მოგებული თანხის განაღდება მეოთხე ტირაჟებისა წარმოებს 9 თებერვლიდან 9 მარტის ჩათვლით.



პიტერ შილტონი

პ. **შილტონი** თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ფეხბურთელია, ინგლისის ნაკრების მეკარე ახლა 37 წლისაა, ამას წინათ გორდონ ბენქსი წერდა: „ინგლისში ბევრი კარგი ახალგაზრდა მეკარეა, მაგრამ მათ შორის არც ერთი არაა ისეთი, შილტონს რომ მეტოქეობა გაუწიოს“. ბობი ჩარლტონი ასე ფიქრობს: „შილტონი შემთხვევით როდი დგას ნაკრების კარში, იგი მეტად საიმედოდ თამაშობს“.

პრადის ჟურნალ „გოლის“ მკითხველები პ. შილტონს წერილებს უგზავნიან. რედაქციამ ეს წერილები მოაგროვა, მეკარეს გააცნო და პასუხები გამოაქვეყნა. ვფიქრობთ, ზოგიერთ მათგანს ჩვენი მკითხველებიც ინტერესით გაეცნობიან.

● **ინგლისის პირველ ლიგაში დებიუტი როდის გქონდათ?**

— 1966 წელს. მაშინ 17 წლისაც არ ვიყავი, იმ დღეს რა დამავიწყებს: ანგარიშით 3:0 დავამარცხეთ „ევერტონი“. ჩვენი კლუბის ძირითადი მეკარე, განთქმული გორდონ ბენქსი დაშავებული გახლდათ და იგი მე შევცვალე.

● **რამდენი კლუბი გამოიცვალეთ საფეხბურთო კარიერის მანძილზე?**

— ოთხი. „ლესტერ სიტიდან“ 1974 წელს „სტოკ სიტიში“ გადავედი, სამი წლის შემდეგ კი „ნოტინგემ ფორესტში“ გადავინაცვლე. კლუბ „საუთჰემპტონში“ 1983 წლიდან ვთამაშობ.

● **ამ კლუბთან რომელ წლამდე გაქვთ დადებული კონტრაქტი და ხელრთოდ, როდემდე აპირებთ თამაშს?**

— „საუთჰემპტონთან“ ახალ კონტრაქტს მოვაწერე ხელი 1990 წლამდე. ვითამაშებ მანამ, სანამ კლუბისთვის სარგებლობის მოტანა შეიძლება.

● **გაგიტანიათ თუ არა მეკარედ თამაშისახ გოლი?**

— მაშინ „ლესტერში“ ვთამაშობდი, კარიდან ძლიერად დავარტყი, ქარმაც ხელი შემიწყო. „საუთჰემპტონის“ მეკარემ ფორსაიტმა სიფხიზლე ვერ გამოიჩინა და გაუშვა ბურთი.

● **რამდენი მატჩი გაქვთ ჩატარებული ინგლისის ლიგაში?**

— 772. ამ მხრივ ინგლისის ლიგის რეკორდსმენია ტერი პაინი, რომელმაც 824 მატჩი ჩაატარა. თუ კარგად ვიქენი, ამ რეკორდს ორი წლის შემდეგ მოვხსნი.

● **ეროვნულ ნაკრებში როდის დაიწყეთ თამაში?**

— 1970 წლიდან, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებთან ვითამაშე, „უემბლიზე“ ანგარიშით 3:1 გავიმარჯვეთ.

● **კიდევ რამდენჯერ ითამაშეთ ნაკრებში? როგორია ამ მხრივ ინგლისის რეკორდი?**

— ჯერჯერობით 89 მატჩი მაქვს ჩატარებული, ინგლისის რეკორდი კი კვლავინდებურად ბობი მურს ეკუთვნის (108 მატჩი). მეკარეთაგან ყველაზე კარგი მაჩვენებელი მე მაქვს, გორდონ ბენქსის აღრინდელი რეკორდი (73 მატჩი) კარგა ხანია გავაუმჯობესე.

● **კიდევ რამდენ ხანს აპირებთ ნაკრებში დარჩენას? ვინ ითამაშა ამ გუნდში თქვენზე მეტ ხანს?**

— ნაკრების ღირსებას 16 წელია ვიცავ. ჩემზე დიდ ხანს ნაკრებში მხოლოდ სახელოვანი სტენლი მეტიუზი იყო (54 მატჩი 22 წლის განმავლობაში). შევეცდები დავეწიო მას.

● **რას იტყვიდ გოლზე, რომელიც თქვენს კარში მარადონამ ხელით გაიტანა მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატში?**

— თავზარი დამეცა, გოლი რომ ჩათვალეს. მარადონასთვის არაფერი მითქვამს, ან რა უნდა მეთქვა...

● **ვინ მიგაჩნიათ ევროპის და მსოფლიოს საუკეთესო მეკარეებად?**

— იაშინი, ძოფი და ჯენინგსი, თუმცა, ჩემი იდეალი ყოველთვის ბენქსი იყო.

● **ინგლისის რომელი ნაკრები მიგაჩნიათ საუკეთესოდ?**

— ის, რომელიც 1966 წელს მსოფლიო ჩემპიონი გახდა: ბენქსი, უილსონი, ჯ. ჩარლტონი, მური, კოენი, ბოლი, სტაილსი, ბ. ჩარლტონი, პიტერსი, ჰანტი, ჰერსტი.

● **ინგლისის რომელ საკლუბო გუნდს თვლით საუკეთესოდ?**

— ბოლო 10 წლის მანძილზე „ლივერპულს“ ვერც ერთი ვერ შეედრება.

● **როცა თამაშს თავს დაანებებთ მწვრთნელი გახდებით?**

— შეიძლება ასეც მოხდეს, თუმცა, ამაზე არ მიფიქრია.

● **როგორ ფიქრობთ, ვინ შეგცვლით ინგლისის ნაკრებში?**

— ინგლისში ბევრი კარგი მეკარეა...

მოამზადა
ᲖᲘᲕᲘ ᲒᲐᲛᲠᲔᲙᲔᲚᲨᲕ.

ᲪᲘᲡᲤᲔᲠ ᲔᲙᲠᲐᲜᲖᲔ

ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ. 31 იანვარი. დილის დაკურვა — **8.00 (1);** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2);** რიტმული ტანვარჯიში — **9.40 (2);** თბილისის საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში — **15.45 (2);** სსრ კავშირის ჩემპიონატი ფრენბურთში: „ურალოჩკა“ (სვერდლოვსკი) — „კომუნალნიკი“ (მინსკი) — **20.30 (2);** მსოფლიო ჩემპიონატი ციგურაობაში: სპრინტერთა მრავალჭიდი (გადაცემა კანადიდან) — **21.15 (2).**

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ. 31 იანვარი. ფიზკულტურის გაკვეთილი — **14.05;** სპორტული გადაცემა — **15.45.**

რედაქტორი
თ. ᲒᲐᲩᲔᲩᲘᲚᲐᲫᲔ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:
წერილებისთვის — 380096.
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ:
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
წერილების განყოფილება — 93-97-55,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ:
66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 უე 06740